ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №59

05.03.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. დავით რურუა - კომისიის წევრი;
4. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032105071-03; 19.02.2021);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032105070-03; 19.02.2021);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (04.03.2021; 12-032106361-03);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (04.03.2021; 12-032106361-03);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (12-032106361-03; 04.03.2021);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (12-032106361-03; 04.03.2021).

სხდომას თავმჯდომარეობდა - შალვა ოგბაიძე.

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032105071-03; 19.02.2021):

ვ.აბულაძე - მოგესალმებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მტკიცდება თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021–2023 წლების განვითარების პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ღონისძიებები: სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობის ფასის დადგენა 50 თეთრის ოდენობით; საზოგადოებრივი ტრანსპორტის (M3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) უფასო გადაჯდომის არსებულ სისტემაში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსების ჩართვის უზრუნველყოფა; საზოგადოებრივ ტრანსპორტში (M3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) არსებული შეღავათიანი მგზავრობის პირობების გავრცელება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ M2 კატეგორიის ავტობუსებში; ტენდერის გამოცხადება 8-მეტრიანი 180 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესყიდვაზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ უკვე შესყიდული 300 ერთეული M2 კატეგორიის ავტობუსის გამოსყიდვის უზრუნველყოფა; ტენდერის გამოცხადება 18-მეტრიანი M3 კატეგორიის 200 ერთეული ავტობუსის შესყიდვაზე; 8-მეტრიანი არანაკლებ 50 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ დამატებით 400 ერთეული M2 კატეგორიის ახალი ავტობუსის

შესყიდვა და მიღების უზრუნველყოფა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 300 ერთეული M2 კატეგორიის ახალი ავტობუსის შესყიდვა და მიღების უზრუნველყოფა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელებისთვის გადაცემა; 8-მეტრიანი 130 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა; 1 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსების არსებული ავტობაზის რეაბილიტაცია; 1 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსების ახალი ავტობაზის მშენებლობა; 18-მეტრიანი M3 კატეგორიის 200 ერთეული ავტობუსის მიღების უზრუნველყოფა; მგზავრობის ვადიანი აბონემენტების დანერგვა და ამოქმედება, მგზავრთა გადაყვანის ახალი ქსელის სრულად ამოქმედება.

შ.ოგბაიძე - პროგრამა არის საკმაოდ ვრცელი და გასტანს 2023 წლამდე. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები უზრუნველყოფენ თბილისის სატრანსპორტო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და მგზავრთა სწრაფ, კომფორტულ, ხარისხიან, უსაფრთხო მობილობას. განახლებული, ეკოლოგიურად სუფთა და გაზრდილი ავტობუსებისა და მიკროავტობუსების პარკი, ინტეგრირებული გადახდის სისტემა, მგზავრთა გადაყვანის ახალი ქსელი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას და აამაღლებს მის სოციალურ მნიშვნელობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032105071-03; 19.02.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის

ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032105070-03; 19.02.2021):

ვ.აბულაძე - წარმოგიდგენთ მეორე საკითხს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია ქვეპროგრამა - „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი: 06 02 11)“. მოცემული ქვეპროგრამის მიხედვით: „M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით (გარდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებისა), სადაც დადგენილი ტარიფის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, ქვემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებზე შეღავათიანი (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის უფლების მინიჭება და ამ შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში; გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები“.

ზ/ა ნორმატიული აქტის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი დადგენილების მიღების აუცილებლობა. დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის შინაარსობრივ და ძირეულ ცვლილებებს. პროექტის ამოქმედებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032105070-03; 19.02.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (04.03.2021; 12-032106361-03):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ წესში და წესის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი: „ე[1]. ნებართვის გამცემი ან მის მიერ უფლებამოსილი

პირი, ნებართვის მფლობელის მიერ ამ წესით დადგენილი ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობის ან ნებართვის მფლობელის მხრიდან მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად გათვალისწინებული სხვა საფინანსო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ნებართვის მფლობელს შეუჩეროს ამ წესით და მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი თანხის გადახდა ვალდებულების შესრულებამდე.“

ზ/ა დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-18[1] მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს მგზავრობის ფასს, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით „ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მგზავრობის ფასი ჩაირიცხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ ანგარიშზე, რომელიც მის ანგარიშზე მგზავრობის ფასის ჩარიცხვის შემდეგ ვალდებულია ნებართვის მფლობელს გადაუხადოს მომსახურების საფასური. ამ ჩანაწერით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაეკისრა ნებართვის მფლობელების მიმართ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება და ამ ვალდებულების დაზღვევის მიზნით საჭიროა წესს დაემატოს ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ნებართვის გამცემი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ნებართვის მფლობელის მიერ ამ წესით დადგენილი ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობის ან ნებართვის მფლობელის მხრიდან მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად გათვალისწინებული სხვა საფინანსო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნება ნებართვის მფლობელს შეუჩეროს ამ წესით დადგენილი თანხის გადახდა ვალდებულების შესრულებამდე.

შ. ოგბაიძე - მივესალმები წარმოდგენილ ცვლილებას, დროული და აუცილებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(04.03.2021; 12-032106361-03)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (04.03.2021; 12-032106361-03):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში და დადგენილების სათაური ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო

გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“. დადგენილების პირველი მუხლის, პირველ პუნქტს, „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება „ე“ ქვეპუნქტი, ასევე, ცვლილებები შედის დადგენილების მე-2 მუხლის გარკვეულ პუნქტებში.

ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ, M_2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანისას გადახდის სისტემის უზრუნველყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელმა იურიდიულმა პირებმა უნდა განახორციელონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, სხვა არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად, თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფასო გადაჯდომის არსებულ სისტემაში (M_3 კატეგორიის ავტობუსი და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო)) სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის ავტობუსების ჩართვის უზრუნველყოფას და არსებული შეღავათიანი მგზავრობის პირობების გავრცელებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(04.03.2021; 12-032106361-03)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (12-032106361-03; 04.03.2021):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში და უქმდება დადგენილების პირველი მუხლის 1[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი/ფასი დამტკიცებული იყო 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას - 0,65 ლარის ოდენობით).

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი თავის თავში მოიცავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობის ფასის დადგენას 50 თეთრის ოდენობით. გადახდის ინტეგრირებული სისტემა უნდა ამოქმედდეს 2021 წლის 1 აპრილამდე.

შ.ოგბაიძე - საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის მიზნით, ბევრი ქვეყანა მიმართავს ინტეგრირებულ სისტემას. მოხარული ვარ, რომ ეს სისტემა თბილისშიც ინერგება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032106361-03; 04.03.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (12-032106361-03; 04.03.2021):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში და დადგენილების სათაური ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ". ასევე, ცვლილებები შედის დადგენილების 1-ლ მუხლში, 4^1 მუხლის პირველი პუნქტში, მე-5 მუხლის პრეამბულაში, მე-6, მე-8, მე-18-20^1 მუხლებში, 21^2 და 22-ე მუხლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3

კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032106361-03; 04.03.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე